

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/77

ქ. თბილისი

30 ნოემბერი 2020

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2020 წლის 07 სექტემბრის N01-01/57 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილების შესაბამისად „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N1127365 ბრძანების „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ და შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2020 წლის 07 სექტემბრის N01-01/57 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოცემულ რექტორის 2020 წლის 07 სექტემბრის N01-01/57 ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N1127365 ბრძანების „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ პირველი პუნქტის შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით წარმართოს დისტანციურ რეჟიმში. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით „იზოლაციისა და კარანტინის წესების შესახებ“ მე- 3 მუხლით შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი განხორციელდეს დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის სხვადასხვა

ფორმის გამოყენებით 2020 წლის 06 აპრილს რექტორის N01-01/23 ბრძანებით დამტკიცებული „შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესი“-ს შესაბამისად.

2. „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საქმიანობის ელექტრონული ფორმით, დისტანციური წესით განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტის კოლეგიურმა ორგანომ - აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს, სტუდენტთა თვითმმართველობების, და სხვა) საქმიანობა უნდა განახორციელონ დისტანციურად, ადმინისტრაციული წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით (გადაწყვეტილებების მიღებისათვის კვორუმის დადგენა, ხმის მიცემა, ოქმის წარმოება და სხვა).

3. „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად უნივერსიტეტში დასაქმებული ყველა პირი გადავიდეს მუშაობის დისტანციურ რეჟიმში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული პოზიციის/თანამდებობის პირის საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე ყოფნა/გამოცხადება დაკავშირებულია ამ პოზიციის/თანამდებობის სპეციფიკასთან. ამ პირების მიერ საქმიანობა ხორციელდება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

4. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

5. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.

6. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი